ეშმაკის მათრახი

ფასი 50 მ.



№ 57

1921 წ.
იანვრის 23

მონადირე.

მონადირე. (ძაღლებს საქართველოსკენ ანიშნებს). რიგ-რიგობით, ჩემო მურიკებო, რიგ-რიგობით!... ჯერ ერთმა წაუყეფეთ, მერე — მეორემ. ბაქურამ ხო უყეფა აქამდისინ! ეხლა ჭაიკას რიგია... ჭაიკა რო წაუყეფს, მერე ისევ ბაქურა დაიწყებს... თუ დაიღლებით, მეც ჩავერევი... დაისვენებთ და კიდევ დაიწყებთ... აბა, ჭა! ეხლა, ჭაიკა, შენ დაიწყე!..

დიპლომატიური ნოტები.

თუ გნებავთ, ფუქსავატობაშიც ჩამომართვით, მაგრამ მაინც უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე ყოველთვის სიამოვნებით ვკითხულობ საბჭოთა რუსეთის აქაურ წარმომადგენელისა და ჩვენ საბჭოელ მეზობლებისაგან გამოგზავნილ დიპლომატიურ ნოტებს.

რა გაეწყობა! ცოდვა გატეხილი სჯობია, და ძალიან მიყვარს მხიარული თხზულებები!

გარდა სხვა სიკეთისა, ჩვენს დროებას სიცილის კრიზისიც ახასიათებს და ამ საერთო დაღრეჯილობის ჟამს ხომ პირდაპირ მისწრებაა ვინმე შეინმანის ან კიდევ ჰუსეინოვის, გინდა ბეკზადიანის ენამოსწრებული და უაღრესათ გონება-მახვილი ოხუნჯობა.

გავიგებ თუ არა, ახალი ნოტა გამოუგზავნიათ საქართველოს მთავრობისთვისო, წამსვე გავრბივარ გაზეთის საყიდლათ, ვიყიდი, ჩავიდებ ჯიბეში და მაქვს... მაქვს ჩემს ჯიბეში ის ძვირფასი გაზეთი... ვიცი, რომ ჯიბეში მაქვს და ეს აზრი ისე მამხნევებს და მაიმედებს, როგორც ღვინომოწყურებულ ლოთს განჯინაში მომარაგებული კახური, როგორც ძალზე მოშიებულ კაცს მშვენიერი სუფრის მოლოდინი,

მაქვს ჯიბეში და ვიცდი! ვიცდი აუღელვებელის მოთმინებით, რადგან კარგათ ვიცი, ვერსად გამექცევა, და ისიც ვიცი, თუ როდის დადგება საუკეთესო, მარჯვე დრო საყვარელი ნოტის წაკითხვისათვის.

და აი, როდესაც ჩემს მყუდრო ოჯახში ჩვენი პირმშო ვაჟი, ელიზბარ, მორიგ პანღურს ამოჰკრავს ჩვენსავე ძეს, ბიძინას, ხოლო უკანასკნელი საპასუხოთ იატაკის საწმენდ ჩვრიან ჯოხს სთხლეშს თავში, გულის ფანცქალით მოვემზადები.

მაგრამ ჯერ კიდევ ადრეა: ჯერ უნდა ბუნებრივათ განვითარდეს ამბავი, ასე ვთქვათ, უნდა სავსებით გაიშალოს მოვლენები.

ხოლო ეს მოხდება მაშინ, როდესაც საქმეში ჩავერევით მე და ჩემი მეუღლე: თქვენი უმორჩილესი მონა თვისი ნებიერი ვაჟის, ბიძინას, მხარეს დაიჭერს, რივსიმე კი (ჩემი მეუღლის სახელია), რასაკვირველია თავის ფალავანს—ელიზბარს გამოესარჩლება. აქ ხდება ძალების სასწრაფო გადაჯგუფება: მე და რივსიმე მოწინავე პოზიციებს ვიჭერთ, ხოლო ელიზბარ და ბიძინა რეზერვში გადადიან და იწყება ნამდვილი, წესიერი შეტევა რომელიც თუმცა სიტყვიერია მხოლოდ, მაგრამ ბევრ ზარბაზნიან ომს გადააჭარბებს სიმძაფრით და დაუნდობლობით.

ეს სასტიკი ომი დაახლოებით 15—20 წუთამდე გრძელდება ჩემს მოწინააღმდეგეს დაღლილობა არ ეტყობა, ხოლო მე თანდათან აშკარათ ვგრძნობ რომ ღონეც მღალატობს და ტყვია-წამალიც მელევა. ბოლოს, მტრის ყველაზე უფრო თავგანწირულ შემოტევის შემდეგ მე და ჩემი რეზერვი უწესოთ უკან ვიხევთ, ოთახის კარი იკეტება და ასპარეზი ძლევა მოსილ რივსიმესა და ელიზბარს რჩება. ჩვენ კი იძულებული ვხდებით დერეფანში დავცეთ ბანაკი

ვგრძნობ, რომ ბრაზისაგან ტუჩები და ნიკაპი მითრთის, გულს ბაგაბუგი გაქვს, ხელები მიკანკალებს და ისეთ გუნებაზე ვარ, რომ, დამბაჩა რომ მქონდეს, მგონი თავს მოვიკლავდი.

— აი, ეხლა კი დროა!—ვფიქრობ მე, ჯიბიდან ამომაქვს გაზეთი და კითხვას ვიწყებ.

ერთი წუთის შემდეგ სასწაული ხდება: გუნება ერთბაშათ იცვლება, თითქოს წეღანდელი ამბავი არც კი მომხდარიყოსო და ტუჩებზე ღიმი მეკვრის. კიდევ ერთი წუთი და ჩემი ნელი სიცილი არღვევს სიჩუმეს. ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ხარხარს ვეღარ ვიკავებ და დერეფნის შუშაბანდი წკრიალს იწყებს ჩემი ხარხარისაგან.

— რა ღმერთი გიწყრება, შე სასიკვდილევ? რა მოხდა? რა ამბავია?—მოისმის ოთახიდან რიფსიმეს ანჩხლი ხმა.

— კარი გააღე, დედაკაცო,—ხა-ხა-ხა-ხა! გააღე ჩქარა კარი, ხა-ხა-ხა-ხა!— ძლივს ვიძახი მე, ხარხარით სულ შეხუთული.

— ჰო, რა ამბავია? ახალი ნოტა ხომ არ არის? —ერთი ტონით დაბლა მეკითხება რიფსიმე.

— მაშ! ხა-ხა-ხა! ახალი ნოტაა, მაშ, ხა-ხა-ხა! კარი სასწრაფოთ იღება.

— მოდი რაღა, ჩქარა!—მოუთმენრობს ჩემი ცოლი.

ოჯახის ოთხივე წევრი წყნარად და მშვიდობიანათ ვსხდებით და მე ვიწყებ ახალი ნოტის ხმა მაღლა კითხვას:

—„ნოტა აზერბ. საბჭოთა სოციალისტ. რესპუბლიკის ნარკომინდელის ჰუსეინოვისა საქართველოს საგარეო მინისტრთან.

„იმ ნოტის საპასუხოთ, სადაც თქვენ აზერბეიჯანის რესპუბლიკისაგან აქსტაფის ხელშეკრულობის დარღვევასა და ჩვენგან შეპირებულ ნავთის მოუცემლობას ეხებით, უნდა მოგახსენოთ, რომ აზერბეიჯანის პროლეტარიატი და სოციალისტური გლეხობა მედგრათ და შეურყეველათ სდგას თავის მუშა-გლეხურ პოსტზე და ჭკუის სწავლების ნებას არავის მისცემს,..“

— ხა-ხა-ხა-ხა-ხა!—გაისმის ოჯახის ოთხთავე წევრის ხმა-შეწყობილი ხარხარი,—ჩემი ბანი, რივსიმეს სოპრანო, ელიზბარის ბარიტონი და ბიძინას ტენორი...

— ვაშა, ვაშა! ხა-ხა-ხა! ვღრიალებთ ჩვენ ვიდრე დავიქანცებით სიცილისაგან და ცოტა დასვენების შემდეგ მე ისევ კითხვას განვაგრძობ.

—„რაიც შეეხება იმ გარემოებას, რომ ჩვენ

ვსარგებლობთ საქონლის მატარებლებს და ორთქლმავლებს, ამაზე უნდა გიპასუხოთ, რომ ზნე-დაცემულმა იმპერიალისტურმა ანტანტამ და გათახსირებულმა საერთაშორისო ბურჟუაზიამ უკვე გაითხარა თავისივე ხელით თავისი სამარე და შიშის ზარით შეპყრობილი იცქირება შიგ"...

— ხა-ხა-ხა-ხო-ხო-ხო!—ვიხუთებით კიდევ უფრო ძლიერი ხარხარისაგან და ცოტას რომ სულს მოვიბრუნებთ, მე კვლავ განვაგრძობ კითხვას:

— „შემდეგ თქვენ ბრძანებთ, ბატონო მინისტრო, თითქოს ჩვენ ძალდატანებით ვამუშავებდეთ ჩვენის საჭიროებისათვის თქვენი მატარებლების კონდუქტორ-მოსამსახურეთა შედგენილობას. ამის პასუხად კატეგორიულად უნდა განვაცხადოთ, რომ სოციალისტური აზერბეიჯანის მუშებისა და გლეხების ნება-სურვილით არჩეულს და ნდობით აღჭურვილ მთავრობას საბოლოო ბრწყინვალე გამარჯვებისაკენ მიჰყავს თავისი ხალხი და შორს არაა ის დრო, როდესაც მისი დაკორძებული ხელი უკანასკნელ ლურსმანს ჩაჰკედს კაპიტალიზმის კუბოს თავს.—ნარკომინდელი ჰუსეინოვი".

ახლად ატეხილი სიცილის გრიგალი ავსებს ოთახს და ჩემს ოჯახში ისეთი სიამტკბილე მყარდება, თითქოს წეღანდელი ინციდენტი სიზმარშიაც არ მომხდარიყოს...

— ონისიმე, მოიტა ის ხუთასი თუმანი დღეისთვის რომ დამპირდი!— მეუბნება ჩემი ცოლი და ეშმაკურად იღიმება.

— რაო? რა მოგცე?—ვეკითხები მეც ღიმილით, რადგან ვიცი, რაშიაცაა საქმე.

— ხუთასი თუმანი მომეცი, დღეისთვის რომ შემპირდი,—კვლავ იმეორებს რიფსიმე.

— იმ ხუთასი თუმნის შესახებ, რომელიც მე დღეისთვის შეგპირდი, უნდა მოგახსენო, რომ ტყემ მოისხა ფოთოლი, ბაღში მერცხალი ჭყივის, ბაღში ვაზი ობოლი მეტის ლხენითა სტირის!

ჩემი კომუნისტურ-დიპლომატიური პასუხი ხელ-ახლა ხარხარის გრიგალს იწვევს.

— ბიძინა! შენ რა ღმერთი გიწყრება, რომ ჩემი ორი კოკი და შვიდი კაკალი შეაყოლე და აღარ მიბრუნებ?— ვითომ სერიოზულად მიმართავს ბიძინას ელიზბარი.

— შესახებ შენი ორი კოკისა და 7 კაკლისა, ჩემო ელიზბარ, რომელიც მე შენ უნდა დაგიბრუნო, კატეგორიულად გიცხადებ, რომ ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია!— უპასუხებს ელიზბარი საერთო სიცილ-ხარხარში...

აი, რა შედეგი მოაქვს ხოლმე კომუნისტების დიპლომატიურ ნოტებს ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის.

განა მარტო ეს კი არ კმარა, რომ მე მათი ნოტები განსაკუთრებულათ მიყვარდეს?

ეხლა ყველასათვის გასაგები იქნება ის მოუთმენარი აჩქარება, რომლითაც მე გავიქეცი ქუჩაში ამ თვის 14-ს, როდესაც გავიგე, რომ ჩვენს მთავრობას ახალი კომუნისტური ნოტა მოსვლოდა.

მაგრამ ამაზე შემდეგ.

თაგუნა.

პატარა ფელეტონი

შარი—შური... შარი რამ...

სანოვაგე უხვად უძევს:
ნავთეული..,
ღვინეული...
მაგრამ სერგო ქავთარაძე
(სოვდეპიის „ნამესტლინკი")
ზის არაქათ-
მილეული!
არც აცხელა, არც აცივა,
არც აცივა,
არც აცხელა,
ჩვენმა სერგო „ნამესტლინკმა"
დიდი ნოტა
გააჭრელა!
გააჭრელა და დაჰფრიწა!..
დაჰფრიწა...
კვლავ გააჭრელა!
იტყვის:— **„ამა ნოტის წერას**
მირჩევნია ცომის ზელა!
ეგ წყეული
საქართველო
გამიჩნდა რა ხათაბელა!"
იტყვის და კვლავ
საწერ-კალამს
სერგო დინჯათ მოიღერებს...
(საქართველო
სჩაგრავს რუსეთს,
სერგო ნოტით მოიგერებს!)
მოიმარჯვა
და დაიწყო.
ნაპერწკლებს ჰერის კალმის წვერი,
მრისხანებით
სჭექს და გრგვინავს
ჰამპულ-კომის დანაწერი:
„—ჩემს მთავრობას
კარგათ ესმის
საქართველოს გულის ზრახვა.
ემზადებით,

მოახერხოთ
ჩვენი საზღვრის გადმოლახვა
და რუსეთის
დამონება.
ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა!“
პამპულ-ბეგმა
რო დახედა
მისგან შეთხზულ „ნოტის“ ნაწილს,
შარი ერთობ
ენა ხალა
და სიცილი წასკდა ყმაწვილს.
მოაგონდა
მას არაკი
კრილოვისა შენათხზველი,
შარსა ვითა
მოუდებდა
წყლის ნაპირად კრავსა მგელი.
„წყალს მიმღვრევო“
გასძახოდა
უსინდისო, პირ—ახვევი!!
(წყალს კრავი
ვით აუმღვრევდა,
როცა მგელი იყო ზევით?!)
მგლებს და დათვებს
ერთ გვარი აქვთ
„პრინციპები“ როგორც მხეცებს!
მით უმეტეს,
თუ შიმშილი
ჭამის მადას უორკეცებს!)

ჩაიცინა და
განაგრძო
ქავთარაძემ (ოთარ ბეგმა)
„—კარგათ ვიცით
საქართველოს
როგორი აქვს სამტროდ გუგმა.
შემოგვარტყით
ირგვლივ ალყა,
შიგნით გვიწყობთ აჯანყებას;
გვტაცებთ ნავთით
მატარებლებს;
გვინადგურებთ მთელ ქონებას.
უხვად აბნევთ
ოქრო-ვერცხლსა,
მკვიდრთა ჩვენთა მოსასყიდათ...“
გადაჰხედა
„ნამესტლინკმა“
და ხარხარებს უფრო დიდათ.
ხარხარებს და
მხიარულობს...
ნოტა ცხვება საშიშარი
მგლის პრინციპზე
ანაგები
შარი!
შარი!
შარი!
შარი!

ეშმაკი



ქართული

ზანტი თამადა: ყრუ მაყარი და ბრმა წვეული....
მკვირცხლ მერიქიფეს რბენის ქარი გაუდგა წელში.
ჯიხვის ყანწებში ათამაშდა ნაფარეული
და... აზარფეშა მსწრაფლ გადადის ხელიდან ხელში.

ცეკვა—თამაში: დაფა-ზურნა და კრიმანჭული...
მეფეს ამთქნარებს, პატარძალმაც იწყო წოდინი.
გრძელ-გრძელ სიტყვების ყურის გდებამ წაიღო გული
და...ახალ-შეყრილთ აღარ ძალ-უძთ მეტი ლოდინი.

მთვრალი: ზარხოში: შეყივლება და გარიჟრაჟი...
წამოშლილ მაყრებს ხრინწიან ხმით უხმობს თამადა.
მორჩა: დედოფალს ბნელ ოთახში შეუძღვა ვაჟი
და... ტოლუმბაშსაც დაეკარგა ღვინის სმის მადა.

კოცნა: სიცილი: გინება და აყალ-მაყალი....
კოხტა მაყარმა ცხენი მარდათ შეათამაშა.
გავარდა: ხეზე შეფრთხიალდა ჭრელი მამალი
და...აურ-ზაურს შეეცილა ტაში და ვაშა.

ფიცხი მსახური: მერიქიფე და მზარეული...
გრძელი საჯდომი გაიმართა: გასწორდა წელში.
ჯიხვის ყანწებში კვლავ თამაშობს ნაფარეული
და... აზარფეშა მსწრაფლ გადადის ხელიდან ხელში.

ძ.



არც სოდერაა... არც ტიფი... არცა-და შავი ყამია.
მთელი რუსეთი იმისგან განატანჯ-განაწამია.
ბიჩ სისხლიანი მძვინვარეს, აწ წელიწადი სამია
სოფელი, მსგავსად იმისად, არავის მოუწამია.

უსათაურო

ლიგა: ინგლისი: ამერიკა და საფრანგეთი...
ვილსონის ხოვნას დაიტირებს სტამბოლის ჭორი.
სამოთხის ტახტი ეშმაკს ერგო: გაიქცა ღმერთი...
ევროპის სინდისს საყვარლათ ყავს რუსეთის მძორი.
ადერბეჯანი. საქართველო და ზაქათალა...
ვის არ მოხიბლავს ეგზომ ტურფა ორთქლმავალები?
ბეკზადიანმა ბეჭს სირბილე შემოათალა...
განჯამ ცისტერნებს დაუკოცნა ნაზი თვალები.
ქარი: ყინული: ბაქოს სიტყვა და თხის პირობა...
ბუხრის მილებში სონეტებს სთხზავს ღამის ჭილყვავი.
ჩაქრა სანთელი: სულს აღონებს ნავთის ძვირობა...
ლამაზ ქალის ქმარს გაუღიმებს ქალაქის თავი.
ლიგა: ინგლისი, ამერიკა და საფრანგეთი...
ვილსონის ხოვნას დაიტირებს სტამბოლის ჭორი.
სამოთხის ტახტი ეშმაკს ერგო: გაიქცა ღმერთი...
ევროპის სინდისს საყვარლათ ყავს რუსეთის მძორი.

d.

ფოსტა

საბჭოთა რუსეთში ფოსტა უკვე აღდგენილ იქმნა იმ წესით, როგორიც არსებობდა რიურიკის დროს.

ტელეგრაფი



თანამედროვე ცხოვრება უტელეგრაფოთ წარმოუდგენელია და აი საბჭოთა რუსეთმა აქაც გადააჭარბა კაცობ-რიობას.

საგარეო საქმეები

განსაკუთრებულის სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ამხ. მილერანის შენიშვნამ (იხ. ეშმაკის მათრახი № 52) სასურველი გავლენა მოახდინა ჩვენს საგარეო წარმომადგენელ შალიკოზე და მისგან რედაქციამ ისეთი დიდი პაკეტი მიიღო, როგორსაც არ მოელოდა.

ჩვენი რესპუბლიკის საქმეები დიდის წარმატებით მიდის წინ და არა თუ უბრალო მომაკვდავები, ჩვენს შესახებ თითქმის მკვდრებიც კი ამეტყველდნენ.



დამსახურებული დელეგატი საქართველოისა, „კარლო ჩხეიძე,“ მას შემდეგ რაც საგარეო საქმეების ხელმძღვანელობა ჩვენგან შალიკოს გადაეცა, იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო. ეს გულის ამაჩუყებელი სურათი გადმოცემულია სავსებით თქვენს წინაშე აღბეჭდილ ლადო გუდიაშვილის ნახატზე. თქვენ აქ ხედავთ როგორ იცრემლება პარიზის ქართველობა და მათ შორის თვით ლ. გუდიაშვილიც; მაგრამ არც კარლო ჩხეიძეა უგრძნობელი. მიუხედავად სასტიკი აღკრძალვისა, (რომელიც გამოიწვია ყოფილი პრეზიდენტის დეშანელის ფანჯრიდან გადმოხტომამ) კარლომ მაინც გამოყო ფანჯარაში თავი და ცხვირსახოცის ქნევით ეთხოვება მის მოადგილეებს და გულდაწყვეტილ ქართულ კოლონიას.



იმ საშიშარ მწუხარებას, რომელიც კარლო ჩხეიძის წამოსვლამ გამოიწვია, ძნელად თუ რამე გაანელებდა, რომ მოულოდნელად პარიზს ჩვენი ბერძნული ელჩი ლადო ახმეტელიშვილი არ სწვეოდა.

როგორც კეთილ მასპინძელს შეეფერება, ჩვენმა საგარეო წარმომადგენელმა, შალიკომ, თავის საკუთარ თვითმავალში ჩაისვა როგორც ბ-ნი ფერენბახი, აგრეთვე ლადო ახმეტელაშვილი და პარიზის ქუჩებში გაასეირნა, თანაც სასურველ სტუმრებს „ეშმაკის მათრახის“ მშვენიერი წერილების კითხვითართობდა.



საქმე თითქმის მოგვარებულათ მთავრდებოდა, როცა მოულოდნელად დამოკიდებულება გამწვავდა რომის პაპასთან. პაპას მოკითხვის ბარათი მიეღო გაზ. „საქართველოს“ ჟურნალისტიდან ჯაფარიძისგან, რომელშიაც სხვათა შორის გელათის ბერების მიმართ თავისუფალი ვაჭრობის აღკვეთაზე იყო ლაპარაკი და ქრისტეს მოად-

გილე ამ გარემოებამ ძლიერ ააღელვა. საჭირო დარჩა ჩვენი მდივნის, ჯ. ასათიანის გაგზავნა, რომ რომის პაპა ისევ ძველ ხასიათზე დამდგარიყო.

ჩვენს მკითხველებს კარგათ ეხსომებათ როგორის ზეიმით გადმოასვენეს ფრანგებმა გამბეტას გული პარიზის პანთეონში. ჩვენმა წარმომადგენელმა არ ითაკილა და მხურვალე მონაწილეობა მიიღო დღესასწაულში. ამის შესახებ აი რას გვწერს თვით ლადო გუდიაშვილი:



„— როდესაც ბ-ნი გული გამბეტასი პანთეონში გადმოასვენეს, მე იქ გეახელ როგორც თქვენი წარმომადგენელი. დავალებისამებრ სიტყვაც წარმოვთქვი, თუმცა არ მახსოვს რომელ ენაზე. გული საშინლად მომეწონა. მოგეხსენებათ თქმულება: „გულს გული იცნობს“...თ. ვეღარ გაიძლო გულმა, იმავ ღამეს მოვიპარე პანთეონიდან გამბეტას გული, შემოვჯექ პანთეონის სახურავზე, ჩემდა ბედათ მშვენიერი მთვარიანი ღამეც იყო და შემოვძახე: „ოჰ, მთვარევ, მთვარევ!“ ამ გულის გამოგზავნა მინდა თქვენთვის, მაგრამ საზღვრებზე საფრანგეთიდან გამომსვლელებს სინჯავენ და კარგ გულს საქართველოში არავის არ ატანენ.“



სიიდან იყო—არ იყო, ეს ამბავი გაიგო სიფრანგეთის მთავრობამ, რომელიც გამბეტას გულს უფრო უფრო თხიდდება ვიდრე სიფრანგეთისა. ამავ დღეს თვით პრეზიდენტი მილლერანი მოვიდა დელეგაციაში. საქმის გაშორებლად ამ დროს ბერლინს იყო წასული და სტუმარს თვით ლადო გუდიაშვილი დახვდა. მათი ბასი დაახლოებით ასეთი იყო:

ლადო. თქვენ ვინ ბრძანდებით? (წარმოიდგინეთ „მუსიო“ ტ არ მიუოლებია!)

მილერანი. მე ბ-ნო რესპუბლიკის პრეზიდენტი გახლავართ, მილლერანი!

ლადო. ეჰეეე! გამიგონია, გამიგონია! თქვენ ხიკო თეირაშმანაშვილს იცნობთ?

მილლერანი. (წითლდება *) არა ბატონო, არ მქონია ბედნიერება.

ლადო. ძლიერ საბწუხაროა!... უკეთრავად, ამ ჟამად ერთობ ბევრი საქმეები მაქვს, შემდეგ შემოიარეთ. მილლერანი წავიდა და ამგვარად გამბეტას გულის საკითხი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველი დარჩა.

*) არ იფიქროთ „კომუნისტებოდეს“

პროფილები.

(ფუძდვნა ა. შ—ძეს).

წინასიტყვაობა.

ძმაო ეშმაკო! ჰუმორი ძველ ღმერთებსაც უყვარდათ. იგი ტკბილია ვით ნექტარი და მწარე ვით ველური თაფლი. ჰუმორისადმი და შენდამი სიყვარულმა დამაწერია ეს მცირე სტრიქონები, მხოლოდ შემდეგი პირობით გიგზავნი ჩემს ტიპებს: არ გაამხილო არც ჩემი ვინაობა და არც იმათი ვისაც მე ვგულისხმობდი წერის დროს. ქართული სინამდვილე იყო მათი დედა, ხოლო მამას, თეფრასტი ერქვა.

I ყბედი.

ყბედობა ქვეყნის გაჩენიდან უაზრო ლაპარაკს ნიშნავს.

ყბედი, სრულიად მოულოდნელად გაჩნდება შენს გვერდით, თუმცა ჯერ არც კი გიცნობს ხეირიანად, და შენს ცოლს დაუწყებს ქებას: „რა ბოზიბლავული ვინმეა შენი მეუღლე, წუხელ თეატრში გავიცანი, ბავშვები, სულ გადარეულები გყოლია? ჰმ, თან იცინის, თუ შეგატყო რომ არაფრად გვამა მისი ნათქვამი ფოლაქებზე დაგავლებს ხელს, მერე საყელოზე ჩამოცვენილ ჰაღარა თმას აიღებს ხელში და ღიმილით: „როგორ დაბერებულხარ ბეჩა, გახსოვს მე და შენ ქორწილში რო დავთვერით? შენ სულ არ გახსოვს თუ როდის, ან ვის ქორწილში დამთვრალხარ მასთან, მაგრამ იმ იმედით რომ თავიდან მოიშორო, თავს უქნევ.

შემდეგ გიამბობს რომ ყველაფერი დღითი დღე ძვირდება, რომ გაზეთებში ბევრი ტყული სწერია და ბებია მისის დეიდაშვილს ბრუციანი ბავშვი ყოლია.

„გუშინ, ამბობს იგი, სასაქმებელი ზეთი გამომიწერა აქიმმა.

— მართლა დღეს რომელი რიცხვია? შარშან ამ დროს ჩალა მოკრილი იყო და მოსავალი დალაგებული. თუ ვინმე ნაცნობმა შემთხვევით გვერდზე არ გაგიხმო ან აფთიაქში წასვლა არ მოიმიზეზე ყბედი ლაპარაკს ვერასოდეს ვერ გათავებს.

საბჭოთა სოფლეთში

Митюха. Иштъ! корову захатѣли! Буржуй араратскіе!

II. დაბნეული.

დაბნეულობა თავის მექანიზმის მოშლის ნაყოფია. აგერ გვერდით გიზის დაბნეული და თავის გუნებაში ანგარიშობს ჩუმად თუ რამდენი მისცა მან შეშაში ამ ხუთი კვირის წინ. ფიქრობს, აცმაცურებს ტუჩებს შემდეგ გკითხავს: აა, რამდენი მეზობელო?

როცა სასამართლოში უჩივლებენ და დანიშნულ დროს უნდა გამოცხადდეს სადაც ჯერ არს, იგი უწყების ორჯერ მიღების შემდეგაც გამოვა სახლიდან და სოფელში წავა.

დაბნეული ყველაზე გვიან მოდის თეატრში, წარმოდგენის დროს ტაბილად ჩაეძინება, ფეხს ფეხზე გადაილაგებს და ამ დროს ვერც კი ამჩნევს რომ მის წინ მჯდომარე ქალს ახალი კაბა დაუსვარა. ქალი უკან იხედება ბუტბუტით. — როგორ მოგწონთ ქანო წარმოდგენა აა?

ჭამის დროს სხვა საქმეზე ფიქრობს და ამასობაში იმდენს სჭამს, რომ ღამე უნდა ადგეს, ასცდება თავის ფეხისადგილის კარებს და მეზობლის ბაღში შეიპარება. აქ ძაღლები დაგლეჯენ მას ჩოხის კალთებს, ხშირად პატრონიც უსწრებს, ბევრიც მოხვდება ზურგზე; ამის შემდეგ მის ნაცნობებში მას ყურძნის ქურდი შეერქმევა. თუ მის ნაცნობებში ვინმე გადაიცვალა, სამძიმრის ნაცვლად იგი ეუბნება ჭირისუფალს: „მოხარული ვარ თქვენი ბედნიერების“.

III თავხედი.

თავხედი ხანდახან გათავხედდება, ისე რომ იგი ქუჩაზე ნაცნობ ქალის დანახვაზე ორ თითს შორის მესამეს გაყოფს და აჩვენებს, როცა მას ჰკითხავენ როგორა ხარო. აი ასე, უპასუხებს იგი, თეატრში როცა წარმოდგენა დაიწყება იგი გვერდით მჯდომარეს ხმა მაღლა გამოესაუბრება, როცა საზოგადოება მას წესიერებისაკენ მოუწოდებს „თუ წარმოდგენა არ მოგწონთ გარედ მიბრძანდი“ ეუბნება იგი ხალხს. როცა რომელიმე მსახიობზე ლაპარაკი ჩამოვარდება იგი სწორედ იმათ აგინებს, ვინც სხვას მოსწონს. როცა იგი ბაზარში წავა მეხილეებს მასლაათს დაუწყებს „ხილი ძალიან გაძვირდა, მაგრამ ჩემ ბაღში აუარებელი ხილი მოვიდა და იაფად მოგცემთო“, ამასობაში იღებს ფშატს და თხილს ხელში სჭამს. უცნობებს გზაზე შენობით გამოელაპარაკება და რაც უნდა გეჩქარებოდეს შეგაჩერებს, ხელს ჩამოგართმევს და სერიოზულის ტონით გეტყვის „ერთი პაპიროზი მომაწევინე შენს გაზრდას!“

სამი გმირი.

სამი გმირი ჭეყვს სამშობლოს:
სამი ძმა... სამად სამება!
ხოტბა ვისურვე იმათი,
მაგრამ მეის ენა დამება!..
ერთი მეორეს სჯობია
ნაწყითაც;... ეოფაქტეეითაც...
ტედქობენ!.. სიმსუბუქეა
ფერხზე და უფრო ზეეითაც.

კაცს რომელსაც სასამართლოში საქმე წაუგია, სასამართლოს კარებთან დაუხვდება და კმაყოფილის სახით მიულოცავს. როცა მას სადმე დაპატიჟებენ მას ორი ჭიქა ღვინო დაათრობს შემდეგ საზოგადოების წინაშე დაიწყებს ტრაბახს თუ რამდენი ჯიხვი ღვინო გამოუცლია და რამდენი ქალი გაუბაძებია ახალგაზდობის დროს, თავის ყბედობით რომ ყველას თავს მოაბეზრებს გარედ გაბარბაცდება და დიასახლისის ოთახში მოიშორებს თავიდან ბუნებრივ მოთხოვნილებას.

ყველაფერ ამის შემდეგ თუ არ დაპატიჟე შვილის ნათლობაზე, ან ქალიშვილის ქორწილზე: იგი შენს ნაცნობებში დაიწყებს ჩურჩულს: ჰო, რატომ დამპატიჟებდა მაგის ცოლთან რომ საქმე მქონდა ეს ქვეყანამ იცოდა და არც მისი ქალიშვილისთვის დამიცდენია კბილიო.

IV. უტაქტო.

უტაქტო სწორედ მაშინ შეგეყრება როცა შინ ავადმყოფისათვის წამალი მიგაქვს, შეგაჩერებს და თავის ლექსების კითხვას დაიწყებს თან გეჩიჩინება თუ როგორ მოგწონს მისი სამ ტომიანი დრამა, რომელიც ჯერ არ დაბეჭდილა, რადგანაც მას ეშინია რომ ჩვენ სცენაზე მის დრამას ვერ დადგამენ. თანაც აგინებს ჩვენ მსახიობებს, რომელთაც ღვინის სმის მეტი არა იციან რა. თუ შინ მიიწვიე წასვლისას შენ პალტოს ჩაიცვამს შემოხვევით, ან შენ კალოშებში ჩაჰყოფს ფეხს და რადგანაც მას ქვეყანაზე ყველაზე დიდი ფეხი აქვს, ლაყუჩებს დააგლეჯს შენ 4,000 მანეთიან ახალ კალოშებს. ბაზარში თუ შეგხვდა შენ რომ რამეზე ევაპრეში მოდუქნეს ისიც იქ გაჩნდება, მეტს

უსაფუძვლო შიში

ბავშვი მიშველე, დედიკო! შემწამს...
დედა. ნუ გეშინია, შვილო, ეს მამაშენია.

შეაძლევს და ოითონ იყიდის. მოწმედ თუ დანიშნე იგი სასამართლოში განაჩენის გამოტანის შემდეგ გაჩნდება.

თუ იქეიფე მასთან ღამით, მეორე დღეს შენ ცოლს უამბობს მე და შენი ქმარი შანსონეტებში ვიყავითო.

საღამოზე ყოველ ქალიშვილს ის ეტოოლიალება ფეხს დაადგამს, შენ ზიხარ. ხეივანში და სატრფოსთან მარტო ყოფნით სტკბები, უტაქტო სწორედ აქ გაჩნდება და შუაში ჩაგიჯდებათ შენ და შენს სატრფოს და ნიყაპზე ზეთს მოუსომს ქალს.

თუ ვინმეს სიკვდილი გაიგო იგი მიცვალებულის ჰირისუფალთანაც იტყვის ხმა მაღლა „ეჰ, მე მისი დაბადებაც არ გამიგიაო“!

მეფისტოფელი.

პროვინცია

,,სულ სხდომა, სხდომა, სხდომა და სხდომა როდისღა გველირსოს საქმის შედგომა''

I მთხოვნელი: ქალაქის თავის ნახვა შეიძლება?

კარის კაცი—დაიცადეთ ცოტაოდენი—სხდომაზე გახლავს.

II მთხოვნელი: თანაშემწეს მოახსენეთ....

კარის კაცი – სხდომაზე გახლავს, ბატონო„ მოითმინეთ!

III მთხოვნელი: გამგეობის წევრი ბატონი დავი.......

კარის კაცი (აწყვეტინებს)—ყველანი სხდომაზე არიან სანამ არ გაათავებენ უნდა დაიცადოთ.

ქვრივი ქალი: ერთი კვირაა დავდივარ, მაგათი ნახვა არ იქნა... სულ სხდომაზე არიან. ეშმაკმა წაიღოს მაგათი სხდომა და მაგათი თავი!

შარადა

(ფოთისთვის, საკალანდო)

თუ კვიცს ნება აქვს წინ ხტომის
რომ დედა არ იდედოსა,
ერის საქმეში კუნტრუშის
ხალხის ბელადთან „თედოსა“
თუ სოციალიზმს **კაუცკის**
„ასწავლის“ **ქემალ-პოლოსა,**
მოდი შარადის წერაში
დავეცილები „კოლოსა“

—

ეძებეთ (სანამ ვერ ჰპოვოთ)
ზოგადი სახელწოდება
ნერგზე დაამყნი ნეტარებს,
ხილს მოწყვეტ—იცის გოდება.
ყვავილს აჭარბებს სინაზით,
ავთარს ასწავლა ავობა
გენიოსისთვის ღმერთია,
ბრძენისთვის არარაობა.
ხალხი რომ ეძებს სამოსელს
სურსათს და სანოვაგესა.
მისი ბრალია (ჯადვარი
მაცდურ ენას და ბაგესა)
ოთხი მარცვალი უკუღმით
ჩვენ აღარ ვიცით ვისია,
რაც გადმოგვრჩება ჩვენია,
შარადის დასაწყისია.

—

კიდევ ზოგადი სახელი,
კიდევ კვლევა და ძიება.
ვინც განდიდების მანიით
უფლის მახეში გიება
ვინაც მასხვერპლს სწირავს ბითუმად

სულის წაწყმენდის შიშითა,
ღარიბ შემწირველს დასცინა
ვაჭრული ანგარიშითა.

—

ჩვენ აქაც მზგავსად პირველის
ერთი მარცვალი გვეყოფა
ოთხი და, ჩვენთვის ურგემი,
თავისით გამოგვეყოფა

—

ქართული თანამდებობა,
ხშირად მომგვრელი წყლულისა,
გონების, აზრის ამშლელი,
ალმაშფოთები სულისა
პირველი დასვა არ მახსოვს
კანამ თუ **გალილიამ,**
მე ვიცი მხოლოდ წყალი რომ
ღვინოზე უფრო იამა.
სიტყვაა ესე უსაქმო,
გასაჩეხავი ორათა,
პირველ ნახევარს კვალადვე
გავთიშავთ თანასწორათა,
ბოლო მარცვალი ამიდანც
გვინდა შარადის ბოლოსა,
გათავდა, მარა ვშიშობკი
„კოღომ“ არ დამიფოლოსა.

—

სიტყვაა, ფორმით ახალი,
ძველია შინაარსითა
შიგნით მაგრდება ყოველგან,
გარედ არ სჩანა არსითა,
ფოთში უომრად დაიპყრო
ყოველი „უჩრეჟდენია“
„რჩეულებიც“ რომ მოგვტაცა,
მე მაგი უფრო მწყენია

—

სჯობს სენს წამალი სჭარბობდეს
და მჩატე გრძნობას გონება,
გიორგის ჰქონდეს სიცოცხლე
და სიმონიკას „ცხონება“

ბუტუნა



უმაღლეს დაწესებით სასწავლებლის

გამოცდილი მასწავლებელი

იეგანს მოწაფეებს სამაისო გამოცდებისათვის მოსამზადებლად ყველა საგნებში და სარეპეტიციოდ.

მისამართი: ვერა, ბელინსკი ქუჩიდან, მეორე კირპიჩნი ტუპიკი, სახლი № 3, ბინა სიხარულიძისა.

(2—1)

ა ლ ლ უ მ ი

სევასტოპოლში 4000-მდე კაცი ჩამოუხრჩვიათ ქალაქის ქუჩებზე (გაზეთებიდან)

გლავკოვერხი. ჩინებული დისციპლინაა, ჩინებული! როგორ ლარივით ჩამწკრივებულან! (ყვირის) ვაჟკაცებს გაუმარჯოს! (მხლებელს) პასუხს რათ არ მაძლევენ! რას დამუნჯებულან?

მხლებელი. რა მოგახსენოთ, ამხ. გლავკოვერხო!... იბლავლეს, იბლავლეს და ხმა ჩაუწყდათ! არ ვიცი კი რათა?

„ეშმაკის მათრახი“

თვეში ღირს 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 50 მან.

ჟურნალში დაიბეჭდება **განცხადებები**

რედაქციაში შეიძლება შეძენა დღემდე გამოსული ნომრების. ხელის მომწერლებმა ფული შემდეგ მისამართით უნდა გამოგზავნონ: თფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24. ეშმაკის მათრახისათვის. რედაქცია და კანტორა ღიაა 9—2 საათამდე.

საქართველოს სახაზინო რკინის გზებ. სტამბა-ლიტოგრაფია